ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 36
(7347)

20 1983 წ.
თებერვალი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

რესპუბლიკის სპორტკომიტეტში გაიმართა სპორტის სათამაშო სახეობებში საქართველოს VIII სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრების წილისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქების წარმომადგენლები.

წილისყრის შედეგად...

● კალათბურთი

ქალები

I ჯგუფი. 1. თბილისი, 2. ფოთი, 3. სამხრეთ ოსეთი;

II ჯგუფი. 1. ქუთაისი, 2. გორი, 3. ტყიბული, 4. აღმოსავლეთ ზონაში II ადგილზე გასული გუნდი;

III ჯგუფი. 1. რუსთავი, 2. აფხაზეთი, 3. ზუგდიდი, 4. აღმოსავლეთ ზონაში I ადგილზე გასული გუნდი;

IV ჯგუფი. 1. აჭარა, 2. ჭიათურა, 3. დასავლეთ ზონაში II ადგილზე გასული გუნდი, 4. დასავლეთ ზონაში 1 ადგილზე გასული გუნდი.

ვაჟები

I ჯგუფი. 1. თბილისი, 2. ტყიბული, 3. ჭიათურა, 4. აღმოსავლეთის ზონაში I ადგილზე გასული გუნდი.

II ჯგუფი. 1. აფხაზეთი, 2. წყალტუბო, 3. ფოთი, 4. დასავლეთის ზონაში II ადგილზე გასული გუნდი;

III ჯგუფი. 1. ქუთაისი, 2. გორი, 3. სამხრეთ ოსეთი, 4. აღმოსავლეთის ზონაში II ადგილზე გასული გუნდი;

IV ჯგუფი. 1. რუსთავი, 2. აჭარა, 3. ზუგდიდი, 4. დასავლეთის ზონაში I ადგილზე გასული გუნდი.

● წყალბურთი

1. თბილისი, 2. ქუთაისი, 3. აჭარა, 4. აფხაზეთი, 5. რუსთავი.

● ფრენბურთი

ქალები

I ჯგუფი. 1. თბილისი, 2. აჭარა, 3. ზუგდიდი, 4. ცაგერი;

II ჯგუფი. 1. აფხაზეთი, 2. წყალტუბო, 3. ფოთი, 4. აღმოსავლეთის ზონაში II ადგილზე გასული გუნდი;

III ჯგუფი. 1. გორი, 2. სამხრეთ ოსეთი, 3. ჭიათურა, 4. აღმოსავლეთის ზონაში I ადგილზე გასული გუნდი;

IV ჯგუფი. 1. ქუთაისი, 2. რუსთავი, 3. ტყიბული, 4. სამტრედია.

ვაჟები

I ჯგუფი. 1. თბილისი, 2. წყალტუბო, 3. ზუგდიდი, 4. ყვარელი;

II ჯგუფი. 1. აჭარა, 2. გორი, 3. ფოთი, 4. გურჯაანი;

III ჯგუფი. 1. რუსთავი, 2. აფხაზეთი, 3. ჭიათურა, 4. დასავლეთის ზონაში I ადგილზე გასული გუნდი;

IV ჯგუფი. 1. ქუთაისი, 2. სამხრეთ ოსეთი, 3. ტყიბული, 4. დასავლეთის ზონაში II ადგილზე გასული გუნდი.

● ლელობურთი

I ჯგუფი. 1. ქუთაისი, 2. აფხაზეთი, 3. ზუგდიდი, 4. წყალტუბო, 5. დასავლეთის ზონაში II ადგილზე გასული გუნდი, 6. აღმოსავლეთის ზონაში I ადგილზე გასული გუნდი;

II ჯგუფი. 1. გორი, 2. აჭარა, 3. ფოთი, 4. ჭიათურა, 5. აღმოსავლეთის ზონაში II ადგილზე გასული გუნდი, 6. დასავლეთის ზონაში I ადგილზე გასული გუნდი.

● ხელბურთი

ქალები

I ჯგუფი. 1. თბილისი, 2. გორი, 3. ზუგდიდი, 4. დასავლეთის ზონაში I ადგილზე გასული გუნდი;

II ჯგუფი. 1. აჭარა, 2. ტყიბული, 3. წყალტუბო, 4. დასავლეთის ზონაში II ადგილზე გასული გუნდი;

III ჯგუფი. 1. რუსთავი, 2. ფოთი, 3. ჭიათურა, 4. აღმოსავლეთის ზონაში I ადგილზე გასული გუნდი;

IV ჯგუფი. 1. აფხაზეთი, 2. ქუთაისი, 3. სამხრეთ ოსეთი, 4. აღმოსავლეთის ზონაში II ადგილზე გასული გუნდი.

ვაჟები

I ჯგუფი. 1. თბილისი, 2. ფოთი, 3. გორი, 4. დასავლეთის ზონაში I ადგილზე გასული გუნდი;

II ჯგუფი. 1. აჭარა, 2. სამხრეთ ოსეთი, 3. ზუგდიდი, 4. დასავლეთის ზონაში II ადგილზე გასული გუნდი;

III ჯგუფი. 1. რუსთავი, 2. აფხაზეთი, 3. ჭიათურა, 4. აღმოსავლეთის ზონაში I ადგილზე გასული გუნდი;

IV ჯგუფი. 1. ქუთაისი, 2. ტყიბული, 3. წყალტუბო, 4. აღმოსავლეთის ზონაში II ადგილზე გასული გუნდი.

● ჩოგბურთი

1. თბილისი, 2. აფხაზეთი, 3. აჭარა, 4. ქუთაისი, 5. რუსთავი, 6. ჭიათურა, 7. ზუგდიდი.

● მაგიდის ჩოგბურთი

I ჯგუფი. 1. თბილისი, 2. აფხაზეთი, 3. სამხრეთ ოსეთი, 4. ტყიბული;

II ჯგუფი. 1. აჭარა, 2. ქუთაისი, 3. რუსთავი, 4. გორი.

● ბალახის ჰოკეი

ქალები

1. თბილისი, 2. აჭარა, 3. ქუთაისი, 4. აფხაზეთი,

ვაჟები

1. ქუთაისი, 2. აჭარა, 3. თბილისი, 4. აფხაზეთი, 5. წყალტუბო.

● ჭადრაკი

I ჯგუფი. 1. თბილისი, 2. რუსთავი, 3. სამხრეთ ოსეთი, 4. ჭიათურა;

II ჯგუფი. 1. ქუთაისი, 2. გორი, 3. აჭარა, 4. ტყიბული;

III ჯგუფი. 1. აფხაზეთი, 2. ზუგდიდი, 3. წყალტუბო, 4. ფოთი.

გილოცავთ!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭათ საპატიო წოდება „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი“: **ბახუტაშვილს ნოდარ ქაიხოსროს ძეს** — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლის უფროს მწვრთნელს, **ბეჟანოვას ჯულიეტა გიორგის ასულს** — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და სამმართველოს პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის სპორტული სექტორისა და ტურიზმის საბჭოს ხელმძღვანელს, **მუზაშვილს ნიკოლოზ გიორგის ძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის მწვრთნელს ჰიდროობაში, **მხეიძეს არჩილ ივანეს ძეს** — თბილისის ცენტრალური წყალჯომარდობის ბაზის დირექტორს, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტული ორგანიზაციების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარეს, **ნოსკოვს ვალენტინ დიმიტრის ძეს** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სათხილამურო სპორტისა და ალპინიზმის კათედრის უფროს მასწავლებელს, **სავჩენკოს ბორის ალექსის ძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტულ თამაშობათა განყოფილების უფროს მწვრთნელს, **ქორქაშვილს შოთა შალვას ძეს** — თბილისის სპორტის სასახლის დირექტორის მოადგილეს, მთავარ ინჟინერს.

ბოლო ეტაპზე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის კაბინეტში იმდღევანდელი საორშაბათო ტრადიციული თათბირი არ გავდა სხვა დანარჩენს. უმთავრეს საკითხთა შორის, რომლებიც დღის წესრიგში იდგა, შეტანილი იყო ინფორმაცია სამინისტროს თანამშრომელთა მიერ მშთ ფიზკულტურული კომპლექსის ჩაბარების მდგომარეობის შესახებ.

უცნაური ამ ფაქტში არაფერი ყოფილა. პირიქით, კომპლექსისადმი სწორედ ამგვარი დამოკიდებულება იძლევა შესაძლებლობას ავამაღლოთ ნორმატივების ჩამბარებელთა პირადი პასუხისმგებლობა. როგორც ცნობილია, მშთ კომპლექსი ყველა მოქალაქემ უნდა ჩააბაროს, ეს საჭიროცაა და აუცილებელიც. ამიტომ ჯერ კიდევ შარშან საქართველოს განათლების სამინისტრომ კომპლექსის ცალკეული ნორმატივების ჩაბარებაში საგანგებო გეგმის მიხედვით ჩააბა თანამშრომლები.

დადგა ორწლიანი მზადებისა და ნორმატივების ჩაბარების ბოლო ეტაპი. და აი, სამინისტროს მუშაკები ამ დღეებში კვლავ გამოჩნდნენ სპორტულ სარბიელზე. თანამშრომლებს სათავეში ჩაუდგა პირადად მინისტრი ო. ქინქლაძე, რომელიც სხვებთან ერთად აბარებდა მხნეობისა და ჯანმრთელობის გამოცდას. ამჯერად მშთ კომისიას კოლექტივი ნორმატივებს აბარებდა ტყვიის სროლასა და ცურვაში. ეს შეჯიბრება თბილისის განათლების სამმართველოს დილმისა და „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსებზე ჩატარდა.

მინისტრის კაბინეტში გამართულ ზემოაღნიშნულ თათბირზე საუბარი იყო კომპლექსის ჩამბარებელთა საერთო შედეგებზე. მკაცრად მოეკითხათ სამინისტროს იმ მუშაკებს, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს ცურვაში ასპარეზობას. მათთვის დაინიშნა დამატებითი დღე ამ სახეობაში ნორმატივის ჩასაბარებლად.

თ. ჭეველი.

ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წელი

მეგობრები ტურისტულ ბილიკებზე

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავს მიეძღვნა სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს ღია პირველობის ფინალური ასპარეზობა ტურიზმში, რომელიც სოხუმში ჩატარდა.

სტარტზე 17 გუნდი გამოვიდა. კილომეტრიანი დისტანცია 17 ეტაპით ყველაზე სწრაფად თბილისის № 6 პროფტექსასწავლებლების წარმომადგენლებმა (მწვრთნელი მ. თევზაძე) დაფარეს — 31 წუთი და 2 წამი. გამარჯვებულებს მხოლოდ 3 წამით ჩამორჩნენ № 5 სასწავლებლის სპორტსმენები, მესამე ადგილზეა ლენინგრადის გუნდი, მეოთხეზე — მოსკოვის.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების მსაჯთა კოლეგია სხვადასხვა ქალაქით იყო წარმოდგენილი — ლენინგრადელი ა. ტრეტიაკოვი, მოსკოველი გ. პოგორელოვი, სოხუმელი ო. კალიაგინა და ა. შ.

პროფტექგანათლების სისტემაში შემავალი უძლიერესი ტურისტები ივნისში ლენინგრადში შეიკრიბებიან, სადაც საკავშირო შეჯიბრებაა დანიშნული.

ე. ბენდუქიძე,
„შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს მეთოდისტი.

• • •

სურათებზე: დისტანციაზე არიან გამარჯვებული გუნდის წევრები; ეს ლენინგრადელთა კოლექტივია; სპორტის ოსტატი გ. გოძიშვილი დარიგებას აძლევს №5 სასწავლებლის გუნდის ტურისტებს; ცოცხალი ყვავილების თაიგული — საუკეთესო მსაჯობისათვის (მხატვარი — მოდელიერი ო. კალიაგინა).

ვ. ბუკინის ფოტოები.

ფიზიკური კულტურა და სპორტი — ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაში!

მუსიკას, ხატვას, უცხო ენას, მაგრამ სპორტის ხარჯზე?!

ისინი უკვე „დიდები" არიან, რაკი სკოლაში დადიან, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე სჯერათ. თუმცა, მარტო თვითონ კი არა, ამას ხშირად უფროსებიც შევახსენებთ ხოლმე, როცა გვინდა „ჭკუას მოუხმონ", არ იცელქონ, არაფერი გააფუჭონ. ასე კი ვამბობთ, მაგრამ სინამდვილეში ხომ პატარები არიან, იმდენად პატარები, რომ ბევრი მათგანი ჯერ ისევ ენას იჩლექს, ზოგმა კვირის დღეებიც არ იცის, სკოლაშიც უფროსებს დაჰყავთ...

დიახ, ლაპარაკია სულ პატარებზე, იმათზე, ვინც შარშან სექტემბერში შევიდა სკოლაში და, აგრეთვე, მათზე ცოტა უფროსებზე.

რამდენიმე დღის წინ თბილისის 51-ე საშუალო სკოლაში ვიყავი. შუადღე იყო, ზუსტად ის დრო, როცა პირველი ცვლის ბავშვებს გაკვეთილები უმთავრდებათ, მეორე ცვლისას კი ეწყებათ. გახანგრძლივებული ჯგუფის ბავშვები ერთ მოზრდილ საკლასო ოთახში ისხდნენ და მშობლების მოლოდინში ზოგი გაკვეთილებს ამზადებდა, ზოგიც ხატავდა. მინდა ვკითხო ბავშვებს უყვართ თუ არა ფიზკულტურა და სპორტი, დადიან თუ არა რომელიმე სპორტულ სექციაში, ასრულებენ თუ არა დილის გამამხნევებელ ვარჯიშს, რას აკეთებენ თავისუფალ დროს...

ამ თემაზე მოზრდილ ბავშვებთან ადრეც არაერთხელ მისაუბრია. ამჯერად დისკუსიაში ვიწვევ მოუსყიდავ, უანგარო ცეროდენებს იმ იმედით, რომ მათთან საუბარში არ იქნება არავითარი ბარიერი — პატარებს ხომ ვერაფერს „ათქმევინებ".

ედიშერ სავიცკი: ტელევიზიის პროგრამიდან ყველაზე მეტად სპორტული გადაცემები მიყვარს.

— როგორ, ნახატ ფილმებსაც გირჩევნია? — გამოცდას ვუწყობ ბიჭუნას.

— დიახ, მირჩევნია. სპორტი უფრო საინტერესოა, მიხარია, როცა ვიმარჯვებ ხოლმე და ვბრაზდები, როცა ვმარცხდები. მე ყველაზე მეტად თხილამურებით სრიალი მიყვარს. ვისწავლე კიდეც. მთიდან რომ ვეშვები, მგონია თითქოს ცაში ვფრენ. ყოველ შაბათ-კვირას დედას ჩვენს სოფელში მივყავარ. სოფელში მთებია და ხშირად თოვს ხოლმე. წელსაც რამდენჯერმე მოთოვა. ჰოდა, იქ ვსრიალებ.

— დედაც თან დაგყვება? — ისევ „ვუსაფრდები" ბიჭს.

— არა. დედა შინ რჩება. მთაში მარტო ავდივარ.

ედიშერი ჯერ მხოლოდ ექვსი წლისაა. ექვსი წლისანი არიან ეს მალხაზი ბიჭუნებიც, ახლა რომ გარს შემოხვევიან თანაკლასელს და ყურადღებით უსმენენ.

—ფეხი ან ხელი რომ მოგტყდეს, არ გეშინია? — ეკითხებიან აქეთ-იქიდან.

— როცა დიდი გავხდები, მინდა ნამდვილი მოთხილამურე გამოვიდე. სპორტსმენს კი არაფრის არ უნდა ეშინოდეს, — პასუხობს იგი.

დიახ, ექვსი წლისანი არიან ამ პატარა მოთხილამურის მეგობრები, რომელთა უმრავლესობა გასწყრომია დილის გამამხნევებელ ვარჯიშს. მიზეზი ვკითხე.

— ადრე ადგომა მეზარება, — ხმადაბლა მეუბნება იგორი.

— დილით დედას და მამას სამსახურში ეჩქარებათ და რომ არ დაგვაგვიანდეს, სკოლაში მანქანით მოვდივართ, — საიდუმლოს მიმხელს შორენა.

— ზოგჯერ რომელიმე გაკვეთილი მოსამზადებელი მრჩება და დილით ვსწავლობ. ამიტომ ვარჯიშის დრო აღარ მაქვს, — ამაყად აცხადებს მიშიკო.

მიზეზი სხვაც ბევრი დაასახელეს ბავშვებმა, მაგრამ ისეთივე უსაფუძვლო, როგორიც ყველა აქ მოტანილი.

ერთმა ისიც კი მითხრა, ტანვარჯიშზე დავდიოდი, სპორტული კოსტიუმი დამეკარგა, დედამ კი ახალი აღარ მიყიდა და სექციიდან გამომიყვანაო.

— რას აკეთებ თავისუფალ დროს? — ვეკითხები.

— სპორტი მიმატოვებინეს, ახლა მუსიკას ვსწავლობ, ვიოლინოს კლასში დავდივარ, მაგრამ სულ არ მიყვარს. ჩემი ნება რომ იყოს, მუსიკას მივატოვებდი და ისევ ტანვარჯიშის ჯგუფში ვივლიდი.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. თუმცა, შესაძლოა ბევრი მშობელი შემოგვედაოს: მე უკეთესად ვხედავ ჩემი შვილის შესაძლებლობებს და თქვენზე კარგად ვიცი რა ვასწავლოო. კეთილი და პატიოსანი! ჭკუის დარიგებას არავინ აპირებს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ თუ ბავშვი ინტერესის და სიყვარულის გარეშე სწავლობს მუსიკას, მისგან არასოდეს დადგება კარგი მუსიკოსი. ამასაც რომ თავი დავანებოთ, განა შეძლებს ფიზიკურად სუსტი ბავშვი გაუმკლავდეს ასე გართულებულ სასკოლო პროგრამას, იაროს სამუსიკო სკოლაში, უცხო ენის მასწავლებელთან?

ადრეც არაერთხელ გვითქვამს; სასურველია ბავშვი მრავალმხრივ განვითარდეს (მით უმეტეს, თუ პატარას აქვს ნიჭი და უნარი აღრეულ ასაკშივე ეზიაროს ხელოვნების მისთვის საინტერესო რამდენიმე დარგს), მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს მისი ფიზიკური მონაცემების გაუთვალისწინებლად.

იმ დღეს გამოკითხული პატარებიდან განა მხოლოდ ორი და სამია ჩაბმული სპორტში. არა! ირაკლი ბარქაია, მიშიკო შაყულაშვილი, ალეკო ნინუა, შორენა და გიორგი წიკლაურები, დათო და ავთო თოდრიები — ზოგი ცურვას სწავლობს, ზოგი — ყინულზე სრიალს, ზოგი—ჭადრაკს და ზოგიც — კალათბურთს, მაგრამ უმეტესობა მაინც იმ პატარა, ცისფერთვალება გოგონას ბედს იზიარებს, ტანვარჯიშის სექციიდან რომ გამოუყვანიათ და ძალით დაჰყავთ მუსიკის გაკვეთილზე.

...სკოლიდან რომ გამოვდიოდი, კარებთან მანქანა გაჩერდა. იქიდან ახალგაზრდა ქალი გადმოვიდა. ხელში ფუნთუშა ეჭირა. ბიჭუნა, რომელიც, ალბათ, უკვე ელოდა დედას, მანქანისკენ გამოიქცა. დედა შეეგება, ჩანთა გამოართვა, ხელში ფუნთუშა მიაჩეჩა და „ჭამე, ჭამე"-ს ძახილით მანქანისკენ წაიყვანა.

— უკაცრავად, თქვენი შვილი სპორტულ ჯგუფში თუ დაგყავთ? — ვეკითხები ქალს.

—მუსიკას, ინგლისურს და ცეკვას ვასწავლი. სპორტულ ჯგუფში ვერ მივიყვან. ხომ შეიძლება რაიმე იტკინოს? სკოლაში კვირაში ორჯერ ტარდება ფიზკულტურის გაკვეთილი და საკმარისია. თუმცა, კარგი იქნებოდა, ისიც არ ჰქონდეთ, ბავშვი სულ მტვერში ამოგანგლული მოდის...

ყველაფერი დღესავით ნათელია. შესაშური გულახდილობაა, თუმცაღა, მწარე სიმართლეა. წეღან ბავშვის მანქანით წაყვანა და ფუნთუშა მეხამუშა, ახლა კი ის მიკვირს, გოგლიმოგლიც რომ არ მოუტანეს ბიჭს.

ძვირფასო მშობლებო! იმ ციცქნა გოგო-ბიჭების დედებო და მამებო! თქვენ ხომ ჯერ ძალიან ახალგაზრდები ხართ, იმდენად ახალგაზრდები, რომ გუშინდელივით გახსოვთ თქვენი ბავშვობა! მაშ, რატომ ართმევთ თქვენს შვილებს მათთვის ყველაზე სანუკვარს, ყველაზე ძვირფასს — გართობის, თამაშის, შეჯიბრის უფლებას, რატომ უშლით ეზოში ბურთის თამაშს, რატომ არ დაგყავთ სპორტულ სექციებში, რატომ აგითვალწუნებიათ სპორტი? ნუთუ მართლა მოგწონთ ეს ადრე დაბრძენებული, თავჩაქინდრული ბავშვები, რომლებმაც უკვე ორი უცხო ენა იციან და სტადიონზე ერთხელაც არ ყოფილან, ერთი სპორტული შეჯიბრებაც არ უნახავთ, არასდროს სჭერიათ ბურთი ხელში...

მაშ, ვიდრე გვიან არ არის, დაუბრუნეთ ბავშვებს ბავშვობა, აჩვენეთ სპორტული სანახაობა, გაიყვანეთ ქალაქგარეთ, მიეცით ბურთი და გაუშვით ეზოში. დამერწმუნეთ, უფრო სწრაფად ისწავლიან გაკვეთილებს, კარგადაც დახატავენ, ლამაზადაც იცეკვებენ, ინსტრუმენტთანაც გამართულად დახვდებიან. სპორტი ხომ ჯანმრთელი, ლაღი და ხალისიანი სიცოცხლის უტყუარი საწინდარია.

ნ. ჯოხარიძე.

ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

თავს შესანიშნავად გრძნობენ

ლენინგრადში, ტეპლიაკოვების ოჯახის შვიდივე შვილი ჯანმრთელნი და ჰარმონიულად განვითარებულნი იზრდებიან. ისინი პატარაობიდანვე იწრთობიან, რეგულარულად ვარჯიშობენ მშობლების მიერ მოწყობილ საკუთარ სპორტულ დარბაზში. ბავშვები არ ავადმყოფობენ და თავს შესანიშნავად გრძნობენ.

• • •

სურათებზე: სეირნობა სუსხიან ამინდში; საკუთარ სპორტდარბაზში.

საკდეხის ფოტოები.

ახალი სეზონის წინ

19 თებერვალს გაზეთ „ტრუდში" გამოქვეყნდა ინტერვიუ სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსთან **ვ. კოლოსკოვთან.** მან ილაპარაკა ბევრ აქტუალურ საკითხზე, რომლებიც „ლელოს" მკითხველებისთვისაც საინტერესოა:

ვ. კოლოსკოვმა აღნიშნა, რომ ესპანეთის შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა ძალზე უფერულად ითამაშა, რამაც ფეხბურთის მოყვარულთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. სპეციალისტებმა, სპორტულმა მიმომხილველებმა, გულშემატკივრებმა მრავალი სამართლიანი კრიტიკული შენიშვნა გამოთქვეს როგორც ნაკრების ფეხბურთელთა და მწვრთნელთა მიმართ, ისე მთლიანად ჩვენი ფეხბურთის შესახებაც. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ წარმატებით ვითამაშოთ წლევანდელ მეტად საპასუხისმგებლო საერთაშორისო ტურნირებში. სსრ კავშირს ამჟამად ჰყავს სხვადასხვა ასაკის ფეხბურთელთა 8 ნაკრები გუნდი, რომლებსაც სათავეში უდგას სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი, მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება ამ გუნდების მზადება დიდი შეჯიბრებებისთვის. წლეულს წარმატებით უნდა ვითამაშოთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში, ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ტურნირში, ევროპის საკლუბო შეჯიბრებებში, ჭაბუკთა საერთაშორისო ასპარეზობებზე და ა. შ. დასახულია საერთო მზადების მეტად რთული პროგრამა, გადასაჭრელია მრავალი საორგანიზაციო და ტექნიკური საკითხი, ჩვენი მოწინავე ნაკრები გუნდების სახელის დასაცავად მოვიწვევთ მხოლოდ მათ, ვინც მთელი თავისი შეგნებით დაინტერესებულია ჩვენს წარმატებაში, ვინც ძალ-ღონეს არ დაიშურებს საბჭოთა ფეხბურთის პრესტიჟის ასამაღლებლად.

ამას წინათ განვახორციელეთ მთელი რიგი ღონისძიებანი ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყების წინ, ჩავატარეთ ფეხბურთელთა ატესტაცია, განვიხილეთ ოსტატთა გუნდების სასწავლო-საწვრთნელი გეგმები, საფუძვლიანად შევამოწმეთ ყოველი გუნდის მწვრთნელთა საქმიანობა, საგანგებო ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი ოსტატთა გუნდების უფროსებად ხშირად მუშაობენ შემთხვევითი ადამიანები, ბევრ მათგანს წარმოდგენაც არა აქვს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ და აღმზრდელობით მუშაობას საფეხბურთო კოლექტივებში. ამის გამო ზოგიერთები არ დავამტკიცეთ გუნდების უფროსებად.

ვ. კოლოსკოვმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ ადგილობრივი სპორტული ხელმძღვანელები ხშირად თვითნებურად ნიშნავენ და ხსნიან მწვრთნელებს, მაშინ როცა ცნობილია, რომ მხოლოდ სსრ კავშირის სპორტკომიტეტს აქვს ამის უფლება. გამოდის, რომ ჩვენვე არ ვასრულებთ ჩვენს დადგენილებას.

საგანგებო ყურადღება მიეპყრო ოსტატთა გუნდებში მოთამაშეთა გადასვლის საკითხს, ვინაიდან ბევრი მწვრთნელი ნაცვლად იმისა, რომ გულმოდგინედ მუშაობდეს ახალგაზრდა ფეხბურთელთან, ხვეწდეს და ამაღლებდეს მის ოსტატობას, ერთთავად ცდილობს სხვა კოლექტივში აღზრდილი და მომზადებული ფეხბურთელის გადაბირებას.

მკაცრი მითითებები მიეცათ არბიტრებს, რათა საკავშირო შეჯიბრებათა მატჩებში სრული წესრიგი დამყარდეს. ჩვენმა მსაჯებმა გადაჭრით უნდა იბრძოლონ უდისციპლინოთა წინააღმდეგ, დაუყოვნებლივ გააძევონ მინდვრიდან უხეში ფეხბურთელები, სიმულანტები, ულმობლად ებრძოლონ იმ მწვრთნელებს, რომლებიც საჯაროდ გამოთქვამენ ხოლმე თავიანთ უკმაყოფილებას მსაჯთა გადაწყვეტილების მიმართ. ძირფესვიანად უნდა გავაუმჯობესოთ მუშაობა მაყურებლებთან, ამაზე საჭიროა დღენიადაგ იზრუნონ სტადიონების, სპორტკომიტეტებისა და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა. ამ მნიშვნელოვან საქმეში დიდი დახმარება უნდა გაგვიწიონ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებმაც.

1983 წლის საფეხბურთო სეზონი მეტად რთული და მრავალფეროვანია, ყველამ, ვისაც კი ეს ეხება, თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ჩვენი ფეხბურთის წარმატებაში.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

აღვზარდოთ მაღალი კლასის ფეხბურთელები

„ლელოს" კორესპონდენტი ამას წინათ შეხვდა საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს რეზერვების მომზადების სახელმწიფო მწვრთნელს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს ილია ბოჟორაძეს და თხოვა ჩვენი მკითხველებისთვის მოეთხრო, თუ როგორ მიმდინარეობს რესპუბლიკაში ნორჩ ფეხბურთელთა აღზრდა, რა კეთდება ოსტატთა გუნდებისთვის შესაფერისი რეზერვების მოსამზადებლად, რა ხარვეზები გვაჩნია, როგორია ჩვენი ჭაბუკთა და მოზარდთა გუნდების წარმატებები საკავშირო სარბიელზე.

— საქართველოს სპორტკომიტეტს და ფეხბურთის სამმართველოს, — თქვა ი. ბოჟორაძემ — ნორჩ და ჭაბუკ ფეხბურთელთა შეჯიბრებების ვრცელი და კონკრეტული გეგმა აქვთ დასახული, ვზრუნავთ როგორ ჩავაბათ ბავშვთა ახალი ჯგუფები ფეხბურთით რეგულარულ მეცადინეობაში, როგორ წარვმართოთ და გავაუმჯობესოთ მწვრთნელთა საქმიანობა, რომ რესპუბლიკის ოსტატთა გუნდებს საკმარისი რაოდენობით მივაწოდოთ ის ნიჭიერი, პერსპექტიული მოთამაშეები, რომლებიც შემდგომში თავს გამოიჩენენ დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში. საქართველოს უმაღლეს ლიგაში ჰყავს ორი გუნდი, პირველ ლიგაში — ერთი, ხოლო მეორე ლიგაში — შვიდი, მათი რიგების შევსება, როგორც წესი, ხდება როგორც ჭაბუკთა, ისე საქართველოს პირველობაზე მონაწილე გუნდებიდან, ამ მაღალხარისხოვანი ფეხბურთელების ძიებას, გამოვლენას და მზადებას კი ესაჭიროება სისტემატური, გულმოდგინე, დაუღალავი მუშაობა. საჭიროა მთელი ჩვენი საფეხბურთო აქტივის მაქსიმალური მობილიზება, მწვრთნელებმა, მსაჯებმა ვეტერანმა ფეხბურთელებმა და თვით მაყურებლებმაც უყურადღებოდ არ უნდა დატოვონ არც ერთი ნორჩი ფეხბურთელი, რომელიც პერსპექტიულია და კარგი მონაცემები გააჩნია.

საამისოდ მობილიზებული ვართ ყველანი, ჭაბუკთა შეჯიბრებების დროს ყურადღებით ვაკვირდებით თითოეულ ფეხბურთელს, ვაგროვებთ დაწვრილებით ცნობებს, ვეკითხებით ფეხბურთის მოყვარულებს, მსაჯებს, თუ ვინ, სად და რით გამოიჩინა თავი, რით მიიპყრო ყურადღება. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ბავშვმა რომელიმე გუნდში, ვთქვათ, სკოლაში დაიწყოს თამაში და შემდეგ, სხვადასხვა მიზეზის გამო, თავი დაანებოს ფეხბურთს. ასეთი შემთხვევებიც საკმაოდ ხშირია, ამიტომ ნიჭიერ ბავშვებს იმთავითვე უნდა მივადევნოთ მზრუნველი თვალი, გავუღვივოთ ინტერესი ფეხბურთისადმი.

მკითხველებს, ფეხბურთის მოყვარულებს შევახსენებთ თუ რა ღონისძიებები განვახორციელეთ შარშან, რა შეჯიბრებები ჩავატარეთ ნორჩი და მოზარდი ფეხბურთელების მონაწილეობით. სოხუმსა და გაგრაში გაიმართა გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელების ვ. მარღანიასა და შ. იამანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირები. მისასალმებელია გაგრის სპორტკომიტეტისა და ბავშვთა სპორტსკოლის ინიციატივა, რომლებმაც 12-13 წლის ნორჩებისთვის საბჭოთა კავშირის გმირის ი. კოკოსკერიას მემორიალი დააწესეს. თუ ვილაპარაკებთ მასშტაბებზე, ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ამ სამ ტურნირში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა დაახლოებით 45 საკლუბო და საუწყებო გუნდი, საფეხბურთო მინდვრებზე გამოვიდა ცხრაასზე მეტი ბავშვი.

მეტად საინტერესოდ ჩატარდა ბავშვთა და ჭაბუკთა სპეცსკოლებისა და ოსტატთა გუნდებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების რესპუბლიკური გათამაშება სხვადასხვა ასაკის ფეხბურთელთა შორის. შეჯიბრება მიმდინარეობს ორ წრედ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ზონებში. წინასწარი შეხვედრები დამთავრდება 1983 წლის აპრილის დასასრულს, შემდეგ გაიმართება ფინალური შეჯიბრებები.

ჩატარდა ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა, სადაც გაიმარჯვეს ქუთაისელმა მოსწავლე ფეხბურთელებმა, მეორე ადგილზე გავიდა თბილისის „ავაზა", მესამეზე — თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი. ამავე შეჯიბრების უმცროს ასაკობრივ კატეგორიაში პირველობა წილად ხვდა თბილისის განათლების სამმართველოს სპორტსკოლის გუნდს, მეორე ადგილზე გავიდნენ გაგრელები, მესამეზე — თბილისის დინამოელები.

77 გუნდი მონაწილეობდა „სიჭაბუკის თასის" რესპუბლიკურ გათამაშებაში. აქ გაიმარჯვა თბილისის „ავაზამ". ამავე თასის შემდგომ გათამაშებაში გამოდის დაახლოებით 80 გუნდი, მასში მონაწილეობენ 1968-69 წლებში დაბადებულნი, შეჯიბრება სულ მალე, მაისის შუა რიცხვებში უნდა დამთავრდეს.

საინტერესოდ, შინაარსიანად ჩატარდა „ტყავის ბურთის" კლუბის გათამაშება 3 ასაკის ნორჩთა შორის, რომელსაც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს. პირველი ეტაპების შეჯიბრებები რესპუბლიკაში მაღალი ორგანიზაციული დონით გამოირჩეოდა, შემდეგ კი ჩვენმა გუნდებმა საკავშირო ასპარეზზეც გვასახელეს. ვილნიუსა და სვერდლოვსკში პირველი ადგილები დაიკავეს გურჯაანის „კავკასიონმა" და რუსთავის „არიშმა", კარგად ითამაშეს თბილისის „მა[illegible]" და რუსთავის „იმედმაც". ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ გუნდებში აღზრდილ ფეხბურთელებს შემდგომში დიდ სარბიელზეც ვიხილავთ.

საქართველოს ჭაბუკმა ფეხბურთელებმა მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის გმირის ი. ჯინჯარაძის ბათუმის ტრადიციულ ტურნირში, ითამაშეს საკავშირო სპორტკომიტეტის, სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების, განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში. წარმატება აქაც გვაქვს: თბილისის „ავაზამ" გაიმარჯვა ტაშკენტის ტურნირში, თბილისის განათლების სამმართველოს სპორტსკოლის გუნდმა — ივანო-ფრანკოვსკის საკავშირო ტურნირში, თბილისის „სპარტაკმა" — სპორტსაზოგადოების საკავშირო გათამაშებაში, თბილისის დინამოელებმა მოიგეს სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობა, ხოლო ზუგდიდის დინამოელები მეორე ადგილზე გავიდნენ, წარმატებით ითამაშა საკავშირო შეჯიბრებებში ფოთის „ვოდნიკმაც".

ყველაფერი ეს ცხადად მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბავშვთა და ჭაბუკთა გუნდები მოწინავეთა რიგებში იმყოფებიან საკავშირო მასშტაბით, მათი პოტენცია ყველასთვის ცნობილია. ნორჩთა ფეხბურთი ჩვენში სულ უფრო მასობრივი ხდება, მაგრამ მხოლოდ ეს მაჩვენებლები არავის აკმაყოფილებს, მასობრიობის ზრდის გარდა ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ოსტატთა გუნდებს მივაწოდოთ ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც თავიდანვე გაუძლებენ რთულ გამოცდას, უფროსებშიც გამოიჩენენ თავს და ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრებენ ადგილს.

ხელშემშლელი პირობებიდან, უპირველესად ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ადგილებზე ყველგან არ ექცევა ყურადღება ბავშვთა ფეხბურთის მასობრიობის ზრდას, პერსპექტიულთა შერჩევას და დაწინაურებას და, საერთოდ, ბავშვთა შეჯიბრებების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებას, გვაკლია უნარიანი, გამოცდილი მწვრთნელები და აღმზრდელები. ხშირად გვაფერხებს მსაჯთა არაკვალიფიციურობა, მათი მიკერძოებაც, ვინაიდან ბევრი ცდილობს ადგილობრივ გუნდებს შეუქმნას დაუმსახურებელი გამარჯვების შესაძლებლობა.

მეტი მუშაობა მართებთ რესპუბლიკური და ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციების ბავშვთა კომისიებს, რომლებმაც თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ნორჩთა ფეხბურთის საერთო წინსვლაში.

ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებში ჯერ კიდევ ვერ დავამყარეთ და განვამტკიცეთ სათანადო დისციპლინა. მართალია, გაერთიანებული ძალებით ვებრძვით წესრიგის დამრღვევებს, მაგრამ სასურველ ატმოსფეროს მაინც ვერ ვქმნით, უდისციპლინობანი მაინც ხდება: ჭაბუკ ფეხბურთელებს მინდვრიდან აძევებენ უხეშობისთვის, მსაჯთა მიმართ უღირსი დამოკიდებულებისთვის, უცენზურო სიტყვებისთვის და იშვიათი არაა, როცა ჯერ სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელი მუშტი-კრივსაც მართავს მინდორზე. ამის თაობაზე არაერთხელ უმსჯელია ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურ კომისიას, ეს უმსგავსოებანი სამსჯავროზე გამოგვიტანია ჩვენს სპორტულ გაზეთში, მაგრამ, როგორც ჩანს, მარტო ეს ზომები საქმეს არ შველის. არც ისაა „უცხო ხილი", როცა მწვრთნელები ყოვლად გაუმართლებელი და დაუშვებელი სიცრუით ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ შეჯიბრებათა ორგანიზატორები, მიმართავენ სიყალბეს, მინდორზე უკანონოდ გამოჰყავთ განუცხადებელი მოთამაშეები. ზოგიერთები იმდენად თამამდებიან, რომ თავიანთ აღსაზრდელთა თვალწინ შეურაცხყოფენ მსაჯებს და ა. შ.

ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთში სრული წესრიგი უნდა დავამყაროთ, უამისოდ სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ.

წლეულს დაგეგმილია ჩატარდეს ნორჩ ფეხბურთელთა მრავალი საინტერესო ადგილობრივი, რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრება. კვლავ გაიმართება „სიჭაბუკისა" და „იმედის" შეჯიბრებები, „ტყავის ბურთის" საინტერესო ასპარეზობები, წინ გვაქვს მრავალი ზონალური, შესარჩევი და ფინალური შეჯიბრება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელები და ჩვენს ნაკრებს, რომელსაც უხელმძღვანელებენ ვ. ელოშვილი, ა. ზაზროევი, ა. ილიადი და კ. ყრუაშვილი, დიდი სამუშაო ელის. სპარტაკიადის პროგრამით 18 ივლისს ვეთამაშებით მოლდაველებს, 21 ივლისს — ლენინგრადელებს, ხოლო 24 ივლისს — ტაჯიკებს. ეს შესარჩევი თამაშებია, შემდეგ კი ალბათ საქმე გვექნება კიდევ უფრო ძლიერ მეტოქეებთან.

სულ მალე განახლდება ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა, სხვადასხვა მემორიალური ასპარეზობები. ყველაფერი ეს მოითხოვს ძალების სრულ დაძაბვას, ყველამ, ვისაც კი ეს ეხება, ენერგია არ უნდა დაიშუროს ბავშვთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების მაღალსპორტულ დონეზე ჩატარების, ნიჭიერ ფეხბურთელთა გამოვლენისთვის.

სიკეთის მთესველი

ჟურნალისტურ პრაქტიკაში ხშირად ხდება: გამზადებულ ნარკვევსა თუ წერილს გარკვეული ხნით მაგიდის უჯრაში ინახავენ და მხოლოდ მას შემდეგ გამოაქვეყნებენ, როცა დაწერილს კიდევ ერთხელ შეამოწმებენ თითქოს უცხო თვალით. ჩვეულებრივ, ასეთი წესი ამართლებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველთვის არა.

დეკემბერში ნარკვევი დავწერე ჩემს საყვარელ მასწავლებელზე, ქართული ფარიკაობის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელ შოთა დარასელიაზე. ამით მინდოდა გამომეხატა არა მარტო ჩემი, არამედ მთელი ჩემი თაობის მოფარიკავეთა გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა უფროსი მეგობრისადმი.

ნარკვევი კარგა ხანს იდო მაგიდის ამოჩემებულ უჯრაში, მაგრამ, საუბედუროდ, თურმე იმაზე მეტ ხანს, ვიდრე საჭირო ყოფილა, და თუმცა, ეს წერილი ჯერ კიდევ შარშან დაიწერა, მას მაინც უსწრო შოთა დარასელიას სიკვდილმა.

დაე, ამ მოკრძალებულ ნარკვევში, რომელიც ცოცხალ კაცზე დაიწერა, მკითხველმა დაინახოს შოთა დარასელიას — ერთი ზედმიწევნით კეთილშობილი ადამიანის პორტრეტის შტრიხები.

• • •

სპორტი და სიჭაბუკე სინონიმები არიან, განუმეორებელნი, ერთმანეთთან სამუდამოდ დაკავშირებულნი. ალბათ ამიტომ არის სპორტსმენისათვის ორმაგად დასანანი სარბიელის მიტოვება. ეს არის ერთდროულად განშორება სპორტთანაც და ახალგაზრდობასთანაც.

ჩაივლის შფოთიანი ახალგაზრდობის წლები, დაიხარჯება ემოციები, დაუზოგავად გავცემთ სულიერ და ნერვულ ენერგიას, მაგრამ ასპარეზს მიღმა იბადება სავსებით ახალი ურთიერთობანი, რომლებსაც კაცური, ჯენტლმენური კოდექსი უდევს საფუძვლად. ყოველივე ამას კი იმ წლებში, სპორტში აქტიური გამოსვლისა და მოღვაწეობის წლებში ეყრება ბალავერი. ამ ურთიერთობებს ქმნიან კონკრეტული ადამიანები — კონკრეტულ სიტუაციებში, კონკრეტული მოქმედებით. ერთ-ერთ ასეთ ადამიანად, რომელმაც თავისი შესანიშნავი ცხოვრებისა და მწვრთნელობის მანძილზე ერთმანეთს დაუკავშირა მოფარიკავეთა თაობები, სწორედ შოთა დარასელია მესახება.

გამოკითხვებსა და ანკეტებში, რომლებიც განსაკუთრებით გახშირდა ამ ბოლო ხანს სოციოლოგიის არნახული განვითარების კვალობაზე, საბჭოურ თუ უცხოურ პრესაში, შეკითხვაზე, თუ რას აფასებენ ადამიანში ყველაზე მეტად, გამოკითხულნი ძალიან ხშირად სისადავეს, უბრალოებას, თავმდაბლობას ასახელებენ. სწორედ ამ თვისებებით იყო დაჯილდოებული შ. დარასელია, ადამიანი, რომელმაც ბევრი საერთაშორისო კლასის მოფარიკავე აღზარდა, განუზომლად უფრო მეტ ახალგაზრდას მისცა წარუვალი მნიშვნელობის მორალურ-ეთიკური გაკვეთილები და ჭეშმარიტ მოქალაქედ ჩამოაყალიბა. ასეთი ბიოგრაფიის მქონე კაცი თავის მოღვაწეობას ცხოვრების წესად თვლის, ვერაფერს ხედავს მასში განსაკუთრებულს და დარწმუნებული ვარ, ამ წერილსაც, თავისი მოწაფის ერთგვარ აღსარებასაც, ძალზე მოულოდნელად მიიჩნევს...

...ახლა კი, მოდით, ერთად გადავინაცვლოთ ოცდარვა წლის მიღმა, ვნახოთ, რით ცხოვრობდა, რით სულდგმულობდა და რაზე ოცნებობდა ჩემი თაობა, თაობა, რომელსაც ბევრი საუცხოო პედაგოგი და მათ შორის შოთა დარასელია ჰყავდა.

არ ვიცი, სად ამოვიკითხე პირველად, თუ არ ვცდები, გერონტი ქიქოძის მოგონებებში: მოწიფულობის წლებში კაცს თავისი ბავშვობა და სიჭაბუკე გუშინდელ დღეზე უკეთ ახსოვსო. აი, ერთი ფრაგმენტი შორეული წარსულიდან. უფროსმა ძმამ ფიზკულტურის ინსტიტუტში მიმიყვანა. თავად მოფარიკავე გახლდათ და უნდოდა მეც მის გზას გავყოლოდი. ამ მიზნით მიმიყვანა თავის მწვრთნელთან შოთა დარასელიასთან და სთხოვა მეც მის ჯგუფში ავეყვანე. რამდენიმე დღის შემდეგ მოფარიკავის ტანსაცმელში გამოვეწყვე.

იმ დაუვიწყარი დღის შემდეგ საფარიკაო ბილიკზე თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე გამოვდიოდი. ჩემი მწვრთნელი იყო შოთა დარასელია, კაცი, რომელმაც ფარიკაობის გარდა ბევრი ცხოვრებისეული, ზნეობრივი გაკვეთილიც მომცა. და განა მარტო მე. შოთა დარასელიას აღზრდილებს მთელი საქართველო იცნობს. უფროს თაობას ახსოვს ბრწყინვალე მუშკეტერები იზო ესეიაშვილი, რეზო ცირეკიძე, იური ოსიპოვი, მორის სახვაძე, გურამ ჯაიანი, გივი ცაგარელი, ზურაბ ცქიტიშვილი, გოგი და კოტე გოგელიები, რამაზ ლომინაძე, სხვანი და სხვანი, რომელთა სახელებთანაც დაკავშირებულია ქართული ფარიკაობის ოქროს ხანა.

შოთა დარასელიას აღზრდილი შეიძლება არ ყოფილიყო ჩემპიონი, არ მოხვედრილიყო სპორტული გამოცემების პირველ ფურცლებზე, როგორც ტრიუმფატორი და გამარჯვებული, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჩინებული მოქალაქე. მახსოვს, მაშინ მოფარიკავეები ერთ დიდ ოჯახად ვცხოვრობდით, მაგრამ მაინც ცალკე „ჯგუფებად" ვიყოფოდით — იმის მიხედვით, ვინ ვისი მოწაფე იყო. შეკრებებსა და შეჯიბრებებზე, განსაკუთრებით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, სპორტსმენებს ხშირად გაგვიმართავს, ცხადია, გულუბრყვილო, მაგრამ მაინც მძაფრი დისკუსია, ვისი მწვრთნელი იყო უკეთესი — როგორც სპეციალისტი და პიროვნება. ჩვენი მაშინდელი პედაგოგები, მწვრთნელები გვაპატიებენ ამ უწყინარ „თამაშს": დიდი ვნებათაღელვის შემდეგ უპირატესობა ერთსულოვნად შოთა დარასელიას ენიჭებოდა.

ყოველდღიურ ორომტრიალში, ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრისას მუდამ სამართლიანები როდი ვართ. სუბიექტური ფაქტორი, სამწუხაროდ, დიდ როლს თამაშობს გადაწყვეტილების მიღებისას. შოთა დარასელიაში სამართლიანობის გრძნობა ზედმიწევნით იყო განვითარებული. ზოგჯერ ესა თუ ის მწვრთნელი, პედაგოგი უპირატესობას ანიჭებს თავის მოწაფეს სხვათა აღსაზრდელების წინაშე. ბატონი შოთა პრინციპულად წინააღმდეგი იყო ამგვარი საქციელისა. მას თავისი მოწაფე თუ სხვა მწვრთნელის გამოზრდილი სპორტსმენი მუდამ თანაბარ მდგომარეობაში ჰყავდა ჩაყენებული. არ იფიქროთ, თითქოს თავისი აღსაზრდელები მას სხვაზე ნაკლებად უყვარდა ან მათი ინტერესებისათვის არ ზრუნავდა: ზრუნვა და ყურადღება არც ერთი ჩვენგანისათვის არ დაუკლია. მართალია, მაშინ ცოტა არ იყოს, გვაკვირვებდა მისი „გადაჭარბებული" სამართლიანობა, მაგრამ ახლა უსაზღვროდ მადლიერნი ვართ საყვარელი მწვრთნელისა: მისი რჩევა-დარიგებანი სამუდამოდ გაგვყვა ცხოვრების გზაზე...

თითოეულმა მწვრთნელმა ავად თუ კარგად იცის თავისი საქმე, მაგრამ პროფესიულ ოსტატობას უთუოდ უნდა ახლდეს მამულიშვილური მგზნებარება და აღსაზრდელების სულიერ სამყაროში წვდომის უნარი. ეს კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. სწორედ ასეთი მოძღვარი გახლდათ შოთა დარასელია. მისი მოღვაწეობა არასოდეს იფარგლებოდა მარტოოდენ სპორტით, ფარიკაობით. შოთა დარასელიას აღზრდილნი დღეს ღირსეული ადამიანები არიან. სხვანაირად არც შეიძლებოდა: ან უნდა გაჰყოლოდი და გაგეზიარებინა მწვრთნელის ეთიკური კოდექსის ნორმები, ან ფარიკაობას უნდა გამოსთხოვებოდი. რეჟიმის ნებისმიერი დარღვევა ნიშნავდა არა იმდენად მწვრთნელის მძაფრ რეაქციას და მკაცრ სასჯელს, რამდენადაც მტანჯველ სინდისის ქენჯნას. ალბათ ყველასათვის ნაცნობია ის გრძნობა, როცა აღმზრდელი, უფროსი მეგობარი გინდობს, აშკარად არ გითითებს შეცდომაზე, მაგრამ გაგრძნობინებს, სწორი არა ხარ, მართებულად არ მოიქეცი. რამდენჯერ გვინატრია, ასეთ დროს საყვედური მოგვესმინა და სამართლიანად დავსჯილიყავით. სინდისის ქენჯნა — აი, რა იყო უპირველესი სასჯელი შოთა დარასელიას აღსაზრდელებისთვის. ეს, ახლა რომ ვფიქრობ, მისი უძლიერესი „საფირმო" პედაგოგიური ხერხი გახლდათ.

ეს კაცი ყველას უყვარდა და უყვარს. ჩვენთვის — ესეც ამოუცნობი საიდუმლო იყო. რა დასამალია, სპორტული სამყარო სულაც არ გამორიცხავს კონკურენციას, კონფლიქტებს, სპეციალისტების ურთიერთდაპირისპირებას. ამ მხრივ არც ფარიკაობაა გამონაკლისი, მაგრამ შოთა დარასელია ახერხებდა წვრილმან დაპირისპირებასა და ინტრიგებზე მაღლა მდგარიყო. რამდენადაც მესმის, პოზიცია განპირობებული იყო არა მარტო მისი ჩინებული ადამიანური თვისებებით, არამედ საქმისადმი ზედმიწევნით შეგნებული დამოკიდებულებით. ცხადია, მე არ მინდა ისე გამიგონ, თითქოს ვინმეს ჭკუას ვარიგებდე, მაგრამ ტყუილად ფიქრობს ზოგიერთი მწვრთნელი, რომ სპორტსმენები ვერ ამჩნევენ და ვერ აანალიზებენ მათს მოქმედებას. მწვრთნელის ყოველდღიურ საქმიანობაზე, მის დამოკიდებულებაზე სპორტსმენებთან, კოლეგებთან, გარე სამყაროსთან, მის პროფესიულ და ადამიანურ ჩვევებზე ბევრად არის დამოკიდებული როგორი იქნება მისი აღსაზრდელი. ალბათ არც ერთი ადამიანი ისე არ მოქმედებს სპორტსმენის სულიერ კონსტიტუციაზე, მისი მორალურ-ეთიკური სახის ჩამოყალიბებაზე, როგორც მწვრთნელი. ამიტომ მისი როლი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შემოიფარგლოს სპორტული ცხოვრებით. როცა ამ სტრიქონებს ვწერ, თვალწინ მიდგას ისევ და ისევ შოთა დარასელია, რომელმაც თავისი მაგალითით გვიჩვენა, როგორ უნდა გვეცხოვრა მომავალში, როგორ მოვქცეოდით ერთმანეთს, რა უნდა გვეკეთებინა და რა — არა. იქნებ ამიტომაც არის, რომ მისი აღზრდილები, თუმცა ზოგიერთმა ორმოცსაც გადავაბიჯეთ, მის გვერდით თავს ისევ მოწაფეებად ვგრძნობდით, კვლავინდებურად გვამხნევებდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, საოცრად თბილი გამოხედვა და ღიმილი, ის ღიმილი, რომელიც არასოდეს მოშორებია მწვრთნელის სიმპათიურ სახეს. ვერავინ დამარწმუნებს, თითქოს სიკეთე, თანდაყოლილი სიკეთე, საბოლოო ანგარიშით, შეიძლება დაუფასებელი დარჩეს. სიკეთე, კეთილშობილება შეიძლება დამარცხდეს ერთხელ, ორჯერ, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მაინც მას დარჩება. აი, ამ აზრს გვინერგავდა ფარიკაობის მასწავლებელი.

ყოველ ჩვენგანს ჰყოლია მოძღვარი, ოსტატი და, ცხადია, არაერთიც, მაგრამ მაინც ყველა არ დაგვამახსოვრებია. დროთა განმავლობაში ბევრის სახე გაფერმკრთალდა ჩვენს ხსოვნაში, ზოგიერთის ხატი კი სამუდამოდ ჩაგვრჩა გულში. აი, ასეთ მასწავლებლებს უსაზღვროდ ვენდობით, ისინი ჩვენი ძვირფასი, უახლოესი და საყვარელი ადამიანები არიან.

ერთხელ, დიდი ხნის შესვენების შემდეგ, კვლავ შევიარე საფარიკაო დარბაზში, სადაც ჩემი საყვარელი მწვრთნელი მეგულებოდა. მის დანახვაზე გავიფიქრე, რომ ჩვენი დაუდეგარი სიჭაბუკის შემდეგ იგი არ შეცვლილა. დარბაზში შესულს ისევ ის გამოხედვა და ღიმილი შემომეგება, ისევ ის მამაშვილური და მეგობრული სითბო, რომელიც შოთა დარასელიამ ათეული წლების მანძილზე ვერ დახარჯა. ამჯერად მასთან მარტო არ მივუსლვარ, თან ჩემი ვაჟი მახლდა. როგორ მოეფერა, მოესიყვარულა პატარას, როგორ გაეთამაშა ეს დროული კაცი! მერე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, რამდენიმე წუთით დაგვტოვა და როცა მობრუნდა, ხელში ძეწკვიანი საათი ეჭირა — ჩემს თითისტოლა ბიჭს გადასცა საჩუქრად.

პატარა ბიჭმა ჯერ არ იცის, რა ძვირფასი საჩუქარი მიიღო იმ დღეს. მაგრამ ოდესმე იგი გაიგებს, რომ უკვე ოჯახურ რელიკვიად ქცეული ძეწკვიანი საათი მას საჩუქრად გადასცა ჩემმა ყველაზე საყვარელმა მასწავლებელმა.

არჩილ გოგელია.

● ფეხბურთი

სსრ კავშირის თასზე

გუშინ ოჩამჩირეში გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მატჩი ლანჩხუთის „გურიასა“ და ვორონეჟის „ფაკელს“ შორის.

მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0, დამატებითი პენალტებით გაიმარჯვეს ლანჩხუთელებმა — 8:6.

ოლიმპიური შესარჩევი

ჰავანაში გაიმართა ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩი კუბისა და იამაიკის ნაკრებ გუნდებს შორის.

შეხვედრის 49-ე წუთზე კუბელმა რ. მარკომ ზუსტად გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში და ანგარიშით 1:0 გამარჯვება წილად ხვდათ მასპინძლებს.

პანორამა

● ცურვა

მოსკოვში, „ოლიმპიურის“ ცისფერ ბილიკებზე დაიწყო მოცურავეთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება პირველად მოიპოვა საკავშირო თასის მფლობელმა, 15 წლის მოსკოველმა ტატიანა ელოხინამ — 58,11; ვაჟთა შორის ამავე დისტანციაზე გაიმარჯვა სსრ კავშირის რეკორდსმენმა მოსკოველმა სერგეი სმირიაგინმა — 50,35.

200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ევროპის რეკორდი დაამყარა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, ვოლგოგრადელმა ვლადიმერ შემეტოვმა —2. 00, 65. ეს შედეგი 0,15-ით სჯობს უნგრელი სპორტსმენის შანდორ ვლადარის ადრინდელ მიღწევას. ქალთა შორის ეს დისტანცია ყველაზე სწრაფად დაფარა დნეპროპეტროვსკელმა ვიქტორია კლოჩკომ — 2. 16, 53.

მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი კიეველი სერგეი ფესენკო საუკეთესო იყო 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში — 2. 01, 39. ქალთა შორის გაიმარჯვა ხარკოველმა ელენა ზასლავსკაიამ — 2. 15, 45.

4X200 მ ესტაფეტაში პირველი იყო მოსკოვის გუნდი — 7. 30, 21. (საკდესი).

● კალათბურთი

გუშინწინ შედგა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ერთი მატჩი.

მოსკოვში ადგილობრივმა „დინამომ“ უმასპინძლა რიგის ვეფ-ს. დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს მასპინძლებმა — 119:81 (55:46). ახლა დინამოელებმა სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე გადაინაცვლეს, ხოლო რიგელები მეშვიდე ადგილზე არიან.

● ჰოკეი

ჰელსინკში დასასრულს უახლოვდება მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის, შვეციის, ფინეთისა და ნორვეგიის ნაკრები გუნდები. ფინალისტთა ვინაობა ცნობილი გახდა გუშინწინ, როცა სსრ კავშირის ნაკრებმა წინასწარი ტურნირის ბოლო მატჩი მოუგო ფინელებს 6:0 და ფინალის საგზური გაინაღდა. დასკვნით მატჩში, რომელიც დღეს გაიმართება, საბჭოთა ჰოკეისტების მეტოქე იქნება შვეციის გუნდი. მან ეს უფლება მოიპოვა ნორვეგიის ნაკრების დამარცხების შემდეგ — 8:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა ფინალის წინ

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	3	0	0	18—6	6
შვეცია	2	0	1	17—2	4
ფინეთი	1	0	2	6—15	2
ნორვეგია	0	0	3	6—24	0

● თბილისის იპოდრომზე

კონკურსა და ცხენის გაწვრთნაში

თბილისის სახელმწიფო იპოდრომის დახურულ მანეჟში მიმდინარეობს ამიერკავკასიის რესპუბლიკების საკავშირო ზონალური პირველობა ცხენოსნობაში.

პარალელურად საკავშირო ზონალური პირველობები ტარდება მოსკოვში (მოსკოვის ზონა), კიევში (უკრაინის ზონა), კაუნასში (ბალტიისპირეთის ზონა), ალმაათაში (შუა აზიის რესპუბლიკების ზონა), კრასნოდარში (სამხრეთ რუსეთის ზონა).

შეჯიბრების პროგრამაში შედის — დაბრკოლებათა გადალახვა, ცხენოსნური ორჭიდი და უმაღლესი კლასი. ზონალური შეჯიბრებები დამთავრდება მიმდინარე წლის თებერვალში. სახეობათა მიხედვით გამარჯვებული სპორტსმენები (პირველ ადგილებზე გასულები) მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო პირველობის დასკვნით ასპარეზობაში, რომელიც გაიმართება მოსკოვში მაისსა და ოქტომბერში და სექტემბერში ქალაქ მინსკში (ცხენოსნურ სამჭიდში).

ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებ ცხენოსანთა გუნდის შემადგენლობაში არიან ცნობილი სპორტსმენები ხ. სიმონია (გუდაუთა), თ. ჯღარკავა (საჩხერე), ო. ჯაფარიძე (ზუგდიდი). ახალგაზრდებიდან კი თბილისელი ბ. მარკოზაშვილი და გალელი ჯ. კაპანაძე.

დღეს, 20 თებერვალს, ზონალური საკავშირო პირველობის დასკვნითი დღეა. შეჯიბრების დასაწყისი 4 საათზე.

თ. ქიქავა.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: დაბრკოლებათა გადალახვის ერთ-ერთი მომენტი. ავტორის ფოტო.

სსრ კავშირის ზამთრის ჩემპიონატი მძლეოსნობაში

„სპორტის დედოფალი“ კვლავ სტარტზეა

700-ზე მეტმა მონაწილემ მოიყარა თავი მძლეოსანთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატზე, რომელმაც სარბიელად კვლავ კრილატსკოე აირჩია. მძლეოსნებმა შეიყვარეს ეს ფართო და მოხერხებული „სისწრაფეთა სასახლე“. ორი წლის მანძილზე აქ არაერთი მიღწევა განახლდა, მათ შორის მსოფლიო რეკორდიც. მაღალი შედეგებია მოსალოდნელი წლევანდელ პირველობაშიც, რომელიც განსაკუთრებულ ვითარებაში — მძლეოსანთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატის წელს მიმდინარეობს. წლევანდელი ზამთრის პირველი ჩემპიონი მძლეოსნობაში გახდა ქვეყნის რეკორდსმენი 5 კმ-ზე რბენაში ვალერი აბრამოვი (მოსკოვის ოლქი). მან დამაჯერებლად გაიმარჯვა 3000 მეტრზე რბენაში. კრილატსკოეს ოლიმპიური ველოტრეკის მწვანე ტარტანის სარბენ ბილიკზე 15 წრე ჩემპიონმა 7.50,89-ში დაფარა.

23 ოქროს მედლიდან, რომლებიც ჩემპიონატზე გათამაშდება, მეორე მოიპოვა ევროპა-82-ის ვერცხლის პრიზიორმა ბირთვის მკვრელმა იანის ბოიარსმა (ლიმბაჟი, ლატვია). იანისმა თავისი 7-კილოგრამიანი „ბურთულა“ პირველივე ცდაზე 20,49 მეტრზე გაგზავნა. 20-მეტრიან ზღვარს გადააცილეს აგრეთვე ბირთვი ქვეყნის რეკორდსმენმა ლენინგრადელმა ალექსანდრე ბარიშნიკოვმა და მისმა თანაქალაქელმა სერგეი დონსკიხმა.

შეჯიბრების პირველ დღეს ჩემპიონები გახდნენ: დონეცკელი ელენა იაცუკი, რომელიც 657 სმ სიგრძეზე გადახტა, დნეპროპეტროვსკელი რაისა მახოვა (60 მ 7,37-ში დაფარა), ლენინგრადელი ოლგა დვირნა (3000 მ— 9.00,03) ვოროშილოვგრადელი ვიქტორ ბრიზგინი (60 მ — 6,69) და მოსკოველი კონსტანტინე სემიკინი (სიგრძეზე ხტომა — 807 სმ).

(საკდესი).

ასპარეზობენ მოსწავლეები

გუშინ საქართველოს პროფკავშირთა მძლეოსნობის სასახლეში დაიწყო რესპუბლიკის მოსწავლეთა პირადი პირველობა მძლეოსნობაში.

გთავაზობთ პირველი დღის ტექნიკურ შედეგებს.

3000 მ სიარული. გოგონები. მ. ჯიმშიტაშვილი — 15.44, ე. ყენია — 15,47, ნ. თევზაძე — 16.26 (ყველა — გარდაბანი).

5 კმ სიარული. ბიჭები. ჯ. ბანაძე (თბილისი) — 25.59, ტ. გობეჯიშვილმა და შ. ასანიძემ (ორივე — გარდაბანი) ერთნაირი შედეგი აჩვენეს 25.43.

100 მ რბენა. გოგონები ე. მარკუშინა 12,4, ი. კოვალჩუკი (ორივე რუსთავი) — 12,5, ც. სვანიძე (ქუთაისი) — 12,9. ბიჭები. გ. გელაშვილი (ხაშური) — 10,9, მ. გონაძე (თბილისი) — 11,1. მ. კიკვაძე (მახარაძე) — 11,2.

800 მ რბენა. გოგონები. ე. პოპიკინა (თბილისი) —2.16,4, ე. ბელოგუროვი — 2.17,8, ე. კულინიჩი — (ორივე ახალციხე) —2.19,6. ბიჭები. ს. მარიქიანი — 2.07, ს. საიუნოვსა და გ. აფციაურს (სამივე — თბილისი) ერთნაირი შედეგი აქვთ — 2.08.

1500 მ წინაღობებით. ბიჭები. ს. მიკიტენკო (ახალციხე) — 4.38,8, ვ. მოროზოვი — 4.59, ი. პროტასი (ორივე — თბილისი) — 5.07.

სიმაღლეზე ხტომა. გოგონები.



ი. დავარაშვილმა (ქუთაისი), მ. მიჩელაშვილმა და ი. ბახტაძემ (ორივე — თბილისი) 150 სმ სიმაღლე დაძლიეს. ბიჭები. ი. ივანოვი — 190 სმ, ი. ზაბროსკოვმა (ორივე — თბილისი) და ზ. ჯანკოტაძემ (აფხაზეთი) 180 სანტიმეტრზე გადებული თამასა გადალახეს.

ბირთვის კვრა. გოგონები. მ. ხარატიშვილი — 11,34 მ, ლ. გელაშვილი (ორივე — თბილისი) — 11,20, ე. ლევენცოვა (ფოთი) — 10,16. ბიჭები. გ. უშიკაშვილი — 16,87, დ. კეკიშვილი (ორივე — თბილისი) — 14,46, ბ. ლომინაძე (მახარაძე) — 13.62.

დღეს გაიმართება შეჯიბრებები ექვსჭიდისა (გოგონები) და შვიდჭიდის (ბიჭები) ზოგიერთ სახეობაში და 200 და 1500 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში. შეჯიბრება 21 თებერვალს დამთავრდება.

ბ. ირემაძე,

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით —ვაჟები 1500 მ წინაღობებით რბენის დროს; ქვევით — ვაჟები 800 მ დისტანციაზე; 100 მეტრზე რბენის ფინიშთან.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

პირველი „ოქრო“ — ვიტოშზე

ბულგარეთის დედაქალაქი ტრადიციული „დობრე დოშლით!“ (კეთილი იყოს თქვენი მობრძანება) ხვდება მსოფლიოს სტუდენტთა ზამთრის თამაშების მონაწილეებს.

უნივერსიადას, რომელიც ამჯერად წინ უსწრებს. 1984 წლის სარაევოს თეთრ ოლიმპიურ თამაშებს, ტყუილად როდი უწოდებენ „მცირე ოლიმპიადას“. სტუდენტთა მსოფლიო თამაშები პროგრამითაც თავისი „უფროსი თანამოძმის“ მსგავსია, პირველი ოქროს მედალი აქაც 30-კილომეტრიან სათხილამურო რბოლაში თამაშდება. ასპარეზობის დაწყებამდე — სტარტზე 58 სპორტსმენი დადგა, ჟურნალისტები ორ სპორტსმენს აძლევდნენ უპირატესობას — სარაევოს ოლიმპიურისწინა კვირეულის პრიზიორ პერმელ მ. დევეტიაროვს და წინა უნივერსიადის გამარჯვებულსა და ოლიმპიადა — 80-ის ბრინჯაოს მედალოსან ბულგარელ ი. ლებანოვს. რაც შეეხება უშუალოდ ამ დუეტს, აქ უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, ვინაიდან წილისყრით იგი მთავარი კონკურენტის კვალდაკვალ ჩაება რბოლაში, რაც ბევრად უადვილებდა მას ჩემპიონობისათვის ბრძოლას, რადგან კარგად იცოდა დევეტიაროვის შედეგი. მიუხედავად ამისა, საბჭოთა სპორტსმენმა რთულ პირობებში (ვიტოშში, სადაც რბოლის ტრასა გადიოდა იმ დღეს 14-გრადუსიანი ყინვა იყო) შესანიშნავ დროში 1:24.28,8 წამში განვლო მანძილი და პირველი ოქროს მედალი მოუტანა საბჭოთა გუნდს. „ვერცხლიც“ მის თანაგუნდელს, 20 წლის კურგანელ მოთხილამურეს ვ. მაზალოვს ხვდა წილად (1:26, 08,4), მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა ლებანოვი (1:27. 51, 1).

უძლიერესთა ხუთეულში. დაიმკვიდრა ადგილი ჩელიაბინსკელმა ი. ბოროდავკომ.

უნივერსიადა გრძელდება.

„სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-8 ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 1 (კალათბურთი), 2 (ბიატლონი), 34 (ბალახის ჰოკეი), 36 (საავიაციო სპორტი), 38 (აკრობატიკა), 48 (ჭადრაკი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 10 (წყალბურთი), 15 (ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 16 (ცხენოსნობა), 25 (ციგაობა), 30 (ძალოსნობა).

რედაქტორი ა. ბასილაია.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲑᲐᲠᲓᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡᲐ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები —93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ, 380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14. ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲤᲡᲔᲢᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ
ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ, ᲮᲝᲨᲢᲐᲠᲘᲐᲡ, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 06235

ეროვნული ბიბლიოთეკა